პროფესიონალი

№84

PROFESIONALI

Leselidze st. L2. N2 Terjola, Georgia
Agmaschenebeli AVE N81. Kutaisi, Georgia
Office: +995 0 790 702 302; +995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48
Email: ltdmtm@gmail.com

MTM

Director
Mevlud Getsadze

პროფესიონალი+

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ბ. ალფაიძის №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით, ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

25.03.18. - 25.04.18.

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

პლენარულ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, საპარლამენტო ტრიბუნა დეპუტატებს რეგლამენტით გათვალისწინებული განცხადებებისთვის დაეთმოთ.

პარლამენტის საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, სოფიო ქაცარავამ საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით დარეგულირების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მთავრობის სხდომაზე წარდგენილ იქნა შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ახალი სამშვიდობო ინიციატივა და ამასთან დაკავშირებით მსურს გამოვეხმაურო პრემიერ-მინისტრის განცხადებას. ეს არის ძალიან სწორი, დროული და გააზრებული ნაბიჯი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ჩვენს მიერ გაცხადებული სამშვიდობო პოლიტიკის უფრო ქმედით განხორციელებას და იქნება უფრო კონკრეტული შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული“, - განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

მან მხარდაჭერა გამოუცხადა ინიციატივას, რომელიც მისივე შეფასებით, ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. მისი თქმით, ამ ინიციატივით თანაბარი შესაძლებლობები შეექმნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას ყველა იმ მიმართულებით, რაც მათ პირობებს გაუმჯობესებს, როგორც ჰუმანიტარულ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ და საგანმანათლებლო კუთხით და საშუალებას მისცემს მათ, ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესს ახლავს.

„ჩვენ დავიწყებთ ამ ინიციატივის საპარლამენტო ფორმატში განხილვას, თუმცა აქამდეც ჩართულები ვიყავით ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე კონსულტაციებში. ეს არის სწორი ნაბიჯი და ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომა“, - განაცხადა სოფიო ქაცარავამ. მისივე მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლების პრაგმატული, პრინციპული და მშვიდობიანი მიდგომა სწორედ ასეთ ქმედებებს ეფუძნება და სამშვიდობო პოლიტიკას ალტერნატივა არ გააჩნია.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ეკონომიკური მაჩვენებლები შეაჯამა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ.

„2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაგეგმილი გვაქვს 4, 5 %-იან ეკონომიკურ ზრდაზე. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა მაღალია და მან 4, 9 % შეადგინა, ხოლო ცალკე აღებული თებერვლის არის უფრო მაღალი - 5, 5 %, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. როგორც ბიუჯეტის დამტკიცების დროს ვამბობდით, ჩემი პროგნოზი გახლავთ, რომ 5%-იანი ზრდა გვექნება, რაც დასტურდება ამ თვეების მონაცემებით. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ქართული ექსპორტის ზრდა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად აჭარბებს იმპორტის ზრდას წინმსწრებად. იანვარ-თებერვალში ექსპორტი გაიზარდა 25, 5 %-ით, ხოლო იმპორტი მხოლოდ 3,3 %-ით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, -განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ინფლაცია, 2017 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობისთვის მტკივნეული პროცესი იყო, 2018 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში კი პროცესი კარგად მიდის. ისე, როგორც ჩვენ დაგეგმილი ჰქონდა საქართველოს პარლამენტს და ეროვნულ ბანკს. მისივე თქმით, მიმდინარე წლის მარტში პირველად დაფიქსირდა ინფლაცია მინუს ნიშნით. ირაკლი კოვზანაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ შემცირებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რაც სწორად დაგეგმილი მაჩვენებლების, ექსპორტისა და ტურიზმის მნიშვნელოვანი ზრდითაა განპირობებული.

მისი თქმით, ინფლაცია, რომელიც საქართველოს მოსახლეობისთვის 2017 წლის მანძილზე მტკივნეული პროცესი იყო, 2018 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მიდის ისე, როგორც დაგეგმილი იყო ხელისუფლების მიერ. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, პირველი კვარტლის მდგომარეობით, გეგმა გადაჭარბებულია და ყველა წარმოდგენილი პარამეტრი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას პრობლემა არ შეექმნება. „ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი ადასტურებს, რომ ჩვენ ვადგავართ სწორ გზას და სახელმწიფოს არჩეული აქვს სწორი მიმართულებები. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ,

საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სწორად დაგეგმა ის მაჩვენებლები, რომელიც ჩვენ დეკემბრის თვეში გავაკეთეთ", - განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, შოთა ხაბარელმა საქართველოს ბოლო პერიოდის სპორტულ მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება. მისი ინფორმაციით, ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატზე, რომელიც სამი დღის წინ დამთავრდა, ჩვენმა ძალოსნებმა უპრეცედენტო წარმატებას მიაღწიეს და 10 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. შოთა ხაბარელის თქმით, ქართველმა რაგბისტებმა მოიპოვეს ერთი თასი. მისივე ინფორმაციით, სულ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა თბილისის საერთაშორისო გრანპრი ძიუდოში, სადაც ქართველმა ძიუდოისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

ქართველ სპორტსმენებს წარმატება მიულოცა პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ. „ნამდვილად წარმატებით დაიწყო ჩვენი სპორტსმენებისთვის ეს წელი და მინდა შევუერთდე მილოცვებს. მინდა მივულოცო ჩვენს სპორტსმენებს ძალიან დიდი წარმატება", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ბექა ოდიშარია გამოეხმაურა დედაქალაქში მიმდინარე პროცესებს. მისი მოსაზრებით, მხარდაჭერას იმსახურებს დედაქალაქის მერიის სხვადასხვა რეგულაციები და ინიციატივები, რომელიც

ტრანსპორტის, ეკოლოგიის, დასუფთავების, ეკონომიკური აქტივობების კუთხით გაჟღერდა. „ვფიქრობ, რომ თითოეული ეს რეგულაცია აუცილებლად ჰპოვებს მოსახლეობის მხარდაჭერას, რადგან სიცოცხლით სავსე ქალაქი ჩვენი საამაყო ქალაქი ვერასდროს იქნება წესრიგის გარეშე", - აღნიშნა უმრავლესობის წარმომადგენელმა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე გედევან ფოფხაძე ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ახალ ინიციატივას მისი შეფასებით, ეს ინიციატივა ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, როგორც პოლიტიკურად, ასევე, სამართლებრივად.

პლენარულ სხდომაზე საქართველოს მოსახლეობას მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ.

„დღეს, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა საგადასახადო რეფორმების ახალი პაკეტის შესახებ. ის საგადასახადო რეფორმები, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა და დღეს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა, არის „მცირე ბიზნესის გაზაფხული" - რეალურად 5%-იანი გადასახადის შემცირება 1%-მდე, ბრუნვის ლიმიტის გაზრდა ნახევარ მილიონამდე მცირე ბიზნესისათვის, ასევე, დღეს უკვე პროცედურების გამარტივება და მცირე ბიზნესის სახელმწიფოსთან ურთიერთობის დაყვანა მხოლოდ ერთ დოკუმენტზე, რაც დამეთანხმებით, რომ ძალიან დიდი შეღავათია მცირე ბიზნესისთვის. აი, ამ ცვლილებებით ეკონომიკაში ჩვენი მოქალაქეების მონაწილეობა და ჩართულობა დიამეტრალურად გაიზრდება და მცირე ბიზნესი იქნება უფრო მეტი და უფრო ძლიერი ამ ცვლილებების მიღების შემდეგ", - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო კამპანია აქტიურად მიმდინარეობს რეგიონებში. „მე მინდა ჩემს კოლეგებს, განსაკუთრებით მაჟორიტარებს ვთხოვო მაქსიმალური ჩართულობა, რომ ქალაქებსა და სოფლებში დასაქმებით დაინტერესებულმა ყველა ადამიანმა მიიღოს სრული ინფორმაცია ამ სიახლეებზე", - მიმართა დეპუტატებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, ანრი ოხანაშვილმა განცხადება გააკეთა ფრაქცია „ქართული ოცნების" საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში გირგვლიანის შესწორებების" სახელწოდებით შედის. დეპუტატის თქმით, ცვლილებების მიზანია იმ სისტემური დანაშაულის პრევენცია, რომელსაც ადგილი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ჰქონდა.

ვიზიტორთა რიცხვი ერთიერად გაიზრდება

ერას შემდეგ, რაც 2012 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ახალი ხელისუფლების არჩევა მოხდა, მიზანმიმართულად დაიწყო სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება, როგორც საერთო დონეზე, ისე, კონკრეტულ დარგებთან და სექტორებთან მიმართებაში. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საფუძველი ჩაეყარა ახალი პოლიტიკის შემუშავებას რეგიონულ თუ ადგილობრივი განვითარების კუთხით და დაიწყო ზრუნვა, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალი ეროვნული პლატფორმის შემუშავებისთვის. საქართველოს ყველა რეგიონისთვის განისაზღვრა განვითარების სტრატეგია, თითოეული მათგანი მოწონებულ იქნა შესაბამისი სამთავრობო კომისიის მიერ, ხოლო მოგვიანებით, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით. ეს პროგრამა მაქსიმალურად მორგებულია და პასუხობს ქვეყნის რეგიონული განვითარების სპეციფიურ, მის ყველაზე კრიტიკულ, პირველად და გადაუდებელ საჭიროებებს. როგორც ცნობილია, საქართველო ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია, ამიტომაც, ძირითადი ინფრასტრუქტურის და მდგრადი მომსახურების უზრუნველყოფის წინსვლისთვის მიზანშეწონილია უფრო მეტი რესურსების გამოყენება, ვიდრე ეს ზემოხსენებულ ქვეყნებში კეთდება. სწორედ ამიტომ, ხაზი გაესვა რიგ კომპლექსურ გამოწვევებს და მათზე რეაგირების გრძელვადიან ხედვას, კერძოდ ინფრასტრუქტურის მუდმივ განვითარებას, ადგილებზე ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერას, თანამედროვე კვლევების ხელშეწყობას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ინოვაციებს. ამის შედეგად, საქართველოს რეგიონები თანდათან უნდა გადაიქცნენ წამყვან მოთამაშეებად საერთო ეროვნული წარმატების მიღწევაში, ვინაიდან ცნობილია, რომ ექსტერნალიები და მზარდი უკუგება - როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ძირითადი მამოძრავებლები - სწორედ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე წარმოიშობა. შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, ბატონი **კახა სამხარაძე** ზედმიწევნით სწორად აცნობიერებს ზემოხსენებულ გამოწვევებს და ყოველთვის მზად არის მკაცრად აკონტროლოს რეგიონში მიმდინარე მოვლენები და სიახლეები.

- ბატონო კახა, რა სიახლეებია რეგიონში?

- მინდა აღვნიშნო, რომ თანამდებობაზე ჩემი მოსვლის პერიოდში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მხრივ, რეგიონი დაბალ პოზიციაზე იდგა. გაწეული საქმიანობის შედეგად, 2017 წელს, პრაქტიკულად ყველა პროექტი შევასრულეთ და საქართველოს მასშტაბით მეორე ადგილი დავიკავეთ. ამ გარემოებამ საერთო ეკონომიკური სიტუაცია გამოასწორა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. გასულ წელს, შესრულებულ პროექტებში, გამოვყოფდი ძამას ხეობის მთლიან მოასფალტებას, რომელიც ახლაც წარმატებით მიმდინარეობს და დარჩენილი 15 კილომეტრიანი მონაკვეთის დაპროექტება ბოლომდე დასრულებულია. გარდა ამისა, ატენის ხეობაში მიმდინარეობს 10 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია ატენი-ბოშურის მიმართულებით, რომელიც 2017 წელს დაიწყო მაგრამ გარდამავალი პროექტია და მიმდინარე წელს დამთავრდება. მნიშვნელოვანი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია, რომელიც შარშან დაიწყო და დიდი სტიმული მისცა ადგილობრივი მოსახლეობის აქტივობას. ქარელის მუნიციპალიტეტში მოხდა მოხისი-კოდა-ვარდისუბანის 5 კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. მსგავსი ღონისძიება განხორციელდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში კოდისწყაროსა და ლამისყანაში. მნიშვნელოვანი თანხები ჩაიდო 50 მეგავატის სიმძლავრის ქარის ახალი ელექტროსადგურების მშენებლობაში. კერძო ინვესტორები დავაინტერესეთ რეგიონში მზის პანელებით ელექტროენერგიის გამომუშავების მიმართულებით. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების მართვის დეპარტამენტის დახმარებით, შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში 2 მილიონი ლარი დაიხარჯა და რეგიონს ხორცის, თაფლის, თევზის, რძის და ხილის გადამამუშავებელი საწარმოები შეემატა. ცალკე აღნიშვნის ღირსია სამელიორაციო სისტემების მოწყობა, რამაც მოსახლეობას განვითარების და ახალი ფართების ათვისების საშუალება მისცა. ამ ეტაპზე კასპის მუნიციპალიტეტში, მდინარე თეძამზე, დაგეგმილია წყალსაცავის მშენებლობა. ეს პროექტი ხელს შეუწყობს 7 000 ჰექტარი მიწის გასარწყვიანებას და კვლევების თანახმად სრულად გამორიცხავს ეკოლოგიურ ცვლილებებს. რაც შეეხ-

ება სოციალურ პროექტებს, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო გორში დასრულებული ოთხი ათსართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომლებიც 480 დევნილ ოჯახს გადაეცა, ხოლო, ,,სოფლად სახლის" პროექტის ფარგლებში, დევნილთა სამინისტრომ, 86 ოჯახს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები შეუსყიდა, ზედ განთავსებული კერძო სახლებით.

- სპორტისა და კულტურის მიმართულებაზეც გვითხარით...

- ამ კუთხით, სპორტული წარმატებებით გამორჩეულ ქალაქ გორში, მნიშვნელოვანი იყო მულტიფუნქციური, ორდარბაზიანი სპორტის სასახლის მშენებლობა. მაღალტექნოლოგიურ და ენერგოეფექტურ სპორტულ ობიექტში, რომლის მშენებლობასაც კანადური კომპანია „ბეჰლენ ინდასთრი" ახორციელებდა, ორი, დიდი და მცირე დარბაზი იქნა განთავსებული. 1500 და 500 მაყურებელზე. მოგეხსენებათ, გორი განსაკუთრებით საჭიდაო სახეობებში მიღწეული წარმატებებითაა ცნობილი, თუმცა აქაურები სხვა სახეობებშიც გამოირჩევიან. წლის განმავლობაში აქ არაერთი სპორტული შეჯიბრება გაიმართება და დამატებით, ეს სივრცე საერთაშორისო შეჯიბრების მასპინძლობის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, საამაყო გახლდათ საქართველოში ჩატარებული 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის გახსნასაც და ფინალურ მატჩსაც, სწორედ გორმა უმასპინძლა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ერგნეთში მიმდინარე, უპრეცედენტო და უნიკალური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც კომპლექსურად შეითავსებს ფეხბურთის და კალათბურთის მცირე მოედანს და დახურულ საჭიდაო არენას გასახდელებით და სანიტარული ქსელით. რაც შეეხება განათლებას, მინდა გამოვყო გორის უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეები, სადაც სწავლის პროცესს ახალი, რეგიონისთვის აქტუალური სპეციალობები დაემატა. გარდა ამისა, შიდა ქართლის რეგიონში ამუშავდა პროფტექნიკუმები, ხოლო სკოლებს და საბავშვო ბაღებს საფუძვლიანი რეაბილიტაცია ჩაუტარდათ.

- რეგიონს ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია...

- შიდა ქართლის ტურისტული პოტენციალი, კულტურული და ისტორიული-გეოგრაფიული მოცემულობის გათვალისწინებით, დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს. მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა, ტბები, ჩანჩქერები, ხელუხლებელი ბუნება, უძველესი საერო და საკულტო ძეგლები იმ შესაძლებლობების არასრული ჩამონათვალია, რომლითაც შიდა ქართლს გამორჩეული ადგილი უკავია ქვეყნის ტურისტულ რუკაზე. განვითარებულია მეხილეობა და მევენახეობა, შესაბამისად, რეგიონს გააჩნია აგროტურიზმის შესაძლებლობა, თუმცა მოცემულ სიტუაციაში აღნიშნული სფერო, შიდა ქართლის ვიზიტორთა ინტერესს ნაკლებად იწვევს. ამის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით კი გორის მუნიციპალიტეტში, აქტიურად იკიდებს ფეხს ე.წ ღვინის ტურები. ამ მხრივ გამორჩეულია გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ატენი, სადაც არაერთ ადგილობრივს საკუთარ საცხოვრებელ სახლთან

ღვინის ტრადიციული მარნები აქვს მოწყობილი და ტურისტებსაც აქტიურად მასპინძლობენ ადგილობრივი, უნიკალური ჯიშებისგან მიღებული ღვინით. ვფიქრობ, როცა ინფრასტრუქტურა საბოლოოდ მოწესრიგდება, ვიზიტორთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება.

- სამომავლოდ რა მიმართულებებია პრიორიტეტული?

- ვფიქრობ, შექმნილ სიტუაციაში, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვუთმობდეთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რადგან მცირე ბიზნესის უპირველესი ამოცანა, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, არის დასაქმების უზრუნველყოფა. უნდა შეიქმნას სათანადო პირობები და გარემო, რომ მეწარმეებსა და საქმიან ადამიანებს, მოქალაქეებს მიეცეთ მაღალპროდუქტიული შრომისა და საქმიანობის საშუალება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება არსებული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება. გარდა ამისა, რასაკვირველია კვლავაც დარჩება პრიორიტეტულ მიმართულებად რეგიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სპორტულ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება და მომავალ თაობაზე ზრუნვა, რაც დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოიღებს სასიკეთო შედეგს.

ახალი პროგრამის „ახალგაზრდა მეწარმის“ განხორციელება დაიწყო

ქალაქ ქარელში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკა მუდმივი ტრანსფორმაციის პერიოდში იმყოფება. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები წინაალმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ამიტომ, დღეს საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება სწორი კურსის არჩევა და საქმისადმი პრაგმატული დამოკიდებულება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბატონი გიორგი კვირიკაშვილის მიერ გაჟღერებული მესიჯები აშკარად მიუთითებს, რომ ცენტრიდან რეგიონებზე გადანაწილებული პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. სწორედ დეცენტრალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ძლიერი მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა უნდა გახდეს ქვეყნის სტაბილურობის გარანტი. რეგიონების ინფრასტრუქტურული თუ კულტურული განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობის წინსვლა, დღეს პერიფერიებზეა დამოკიდებული. ქარელი განსაკუთრებული სამრეწველო პოტენციალით არ გამოირჩევა, ამიტომ მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ სოფლის მეურნეობა რჩება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური განვითარების სტრატეგია ძირითადად სოფლის მეურნეობის სექტორზე, როგორც მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მომტან ძირითად სფეროზეა კონცენტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები პრაქტიკულად სრულად არის ათვისებული. სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე საოჯახო მეურნეობები დომინირებენ, თუმცა მიუხედავად შედარებითი სიმრავლისა ისინი არსებით გავლენას ვერ ახდენენ დარგის განვითარებაზე. უახლოეს მომავალში სურათი, სავარაუდოდ შეიცვლება, რაც მთავრობის მიერ წამოწყებული რეგიონალური რეფორმების პროექტებზე და ადგილობრივი ხელისუფლების უნარიან მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამ საკითხების განსახილველად, ჩვენ ქარელის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ზაზა გულიაშვილს** ვესტუმრეთ...

- ბატონო ზაზა, რა მდგომარეობაა ქარელის მუნიციპალიტეტში?

- როდესაც გამგებლად დავინიშნე, მდგომარეობა ნამდვილად არ იყო სახარბიელო. სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, დასასრულებელი იყო მიმდინარე პროექტები, მისახედი გახლდათ საერთო დისციპლინა და დასარეგულირებელი - ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებული სუბსიდირების საკითხები. სასწრაფოდ ჩავატარეთ საკადრო რეორგანიზაცია, ახალი გუნდით შევუდექით მუშაობას და შედეგებმაც არ დააყოვნა. წლების მანძილზე გაწეული საქმიანობის შედეგად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოასფალტდა 64 კილომეტრი სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზა. აშენდა 7 საბავშვო ბაღი, ხოლო 21 მათგანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. რუისსა და დირბში გავმართეთ 2 ახალი სპორტული კომპლექსი, ხოლო ძველები საფუძვლიანად განვაახლეთ. მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გაზიფიცირებულ იქნა 32 სოფელი, ხოლო დარჩენილი 12 უახლოეს პერიოდში მიიღებს ამ მომსახურებას. შევაკეთეთ სარწყავი არხები, ხიდები და გაბიონები. მოვაწესრიგეთ გარე განათება. გავარემონტეთ და ყველანაირი ინვენტარით აღვჭურვეთ ქარელის კულტურის სახლი, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს 1 000 000 ლარზე მეტი დაუჯდა. წარმატებულად მუშაობს ქარელის, აგარის და სოფელ რუისის მუსიკალური სკოლა, რომლებიც გარემონტდა, გაკეთდა გათბობა და მომავალ თაობას ყველა პირობა შეექმნა საკუთარი შესაძლებლობის გამოსავლენად.

- დღეისათვის რა პროექტებია აქტუალური?

- ამჟამად, ევროპის საინვესტიციო ბანკის მხარდაჭერით, ქარელის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებში, ჭაბურღილების, ავზების და საქლორატორის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც მოგეხსენებათ, რეგიონის 17 სოფლის მოსახლეობას წყლის მიწოდების პრობლემა 2008 წლის შემდეგ შექმნა, რადგან სათავე ნაგებობა, საიდანაც სოფლები მარაგდებოდა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება, და სოფლების საციხურის, აბანოს და აბანოს კოდას გარდა, მთლიანად რეგიონის კიდევ 14 დასახლებულ პუნქტს მოუხსნის სასმელი წყლის პრობლემას და გააუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს. გარდა ამისა, მუნიციპალური განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შეკეთდება ცენტრალური მაგისტრალის რუისის 6 კილომეტრი-



ანი მონაკვეთი. დაგეგმილია გზა სოფელ ლეთეთის მიმართულებით და საღოლაშენი-არადეთი-წვერის გზის კილომეტრნახევრიანი მონაკვეთის მოასფალტება. ზოგადად, გეგმის მიხედვით, შემდეგი 2 წლის განმავლობაში, სოფლებამდე მისასვლელი ყველა გზა ასფალტის საფარით უნდა იქნას დაფარული.

- ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროს რაც შეეხება?

- ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს, რა თქმა უნდა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტში 11 სოციალური პროგრამა მუშაობს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება ახალდაბადებული ბავშვთა ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ოჯახების, ხანდაზმულების, მხედველობადაკარგულთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და მარჩენალდაკარგულების დახმარება. გარდა ამისა, ყოველ მესამე შვილზე 600-ს, ხოლო კიდევ მომდევნოებზე წელიწადში 200 ლარს გავცემთ. მოქმედებს სპეციალური სტუდენტური პროგრამა. გარდა ამისა, ბიბნისის დედათა მონასტერთან არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დახმარების ცენტრი, სადაც წერის, კითხვის, ხატვის, კერამიკის, ქარგვის და ქსოვის წრეებია გახსნილი და მიზნად ბენეფიციართა რეაბილიტაციას ისახავს.

— ტურიზმი რამდენადაა მუნიციპალიტეტში განვითარებული?

- როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, შიდა ქართლში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, რომელიც ურბანული, კომუნალური და ტურისტული გარემოს რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციას ითვალისწინებს. ამ მიმართულებით, ძამას ხეობაში, მოვასფალტეთ გზის 13 კილომეტრიანი მონაკვეთი, ხოლო დანარჩენი 15 კილომეტრის რეაბილიტაცია ახლო მომავალში დასრულდება, რაც ტურისტული კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. გარდა ამისა, გზები გაკეთდება და ადვილად მისადგომი გახდება ბატეთის ტბა, მისი მიმდებარე ტერიტორია და ხეობაში არსებული 45 მოქმედი ეკლესია-მონასტერი. ვფიქრობ, მუნიციპალიტეტის სტუმრები განსაკუთრებით ყინწვისის მონასტრით, სარკის წმიდა გიორგის ეკლესიით და დედოფლის მინდვრებში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებით დაინტერესდებიან.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- სულ ახლახან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ ახალი პროგრამის „ახალგაზრდა მეწარმის“ განხორციელება დაიწყო. ვფიქრობ, რეგიონებისთვის ძალიან პერსპექტიულია, რომ პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც საქართველოში ბიზნესსაქმიანობა სურთ, ვინაიდან პროგრამის მიზანი, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით, ახალგაზრდების ბიზნესსაქმიანობაში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა გახლავთ. როგორც მოგეხსენებათ, დაფინანსებას მიიღებენ საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდა მეწარმეები ან მათ მიერ დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ სწორედ ასეთი პროექტები გვჭირდება, რომლებიც გრძელვადიან განვითარებაზეა გათვლილი და მიზნად ისეთი გარემოს შექმნას ისახავს, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. ამიტომ, ჩვენი მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ სრულ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც ქვეყნის სამომავლო განვითარების საქმეში დაპირებს მოკრძალებული წვლილის შეტანას.



სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს

საქართველოს ეკონომიკაში წარმოშობილი ხარვეზების მიუხედავად, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ მთავარ პრიორიტეტებად რჩება. ფაქტია, რომ ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად და ეკონომიკური სტაგნაციის საბოლოოდ დასამარცხებლად ქვეყანამ, სხვადასხვა სფეროებში კონკურენტული უპირატესობების განვითარების მიზნით, ძალისხმევა კვლავაც უნდა გააგრძელოს. თავისუფალი ეკონომიკის კურსი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს შესაძლებლობას მისცემს, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ამ საკითხების მოგვარება მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის აქტიური თანამშრომლობის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ხაშურის მუნიციპალიტეტში კარგად ესმით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნებისმიერი მუნიციპალური ერთეულის როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში და მზად არიან საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის წარმატებებს ბოლომდე მოახმარონ. წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების ანალიზისას ჩანდა, რომ ყველაზე მწვავე პრობლემებად ამორტიზებული შიდა გზები, უმუშევრობა, დაბალი სოციალური დახმარება და გაზმომარაგება რჩებოდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე აქტიურად განიხილება ადგილობრივთა პრობლემები, მათი წახალისების საკითხები. დღის წესრიგში დგას ინფრასტრუქტურული და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია. ფაქტია, რომ ამ სექტორში არსებულ სიახლეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობას მთელი რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **გიორგი გურასპაშვილი**, სწორედ მიმდინარე საკითხებზე და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრა.

- ბატონო გიორგი, რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

- მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება იქნა მიჩნეული. სამწუხაროდ, მსგავსი მასშტაბის სამუშაოებს მუნიციპალიტეტი ათწლეულების განმავლობაში გახლდათ მოკლებული. მუნიციპალიტეტის ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით, ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, №6 საბავშვო ბაღის ნაწილის დემონტაჟი და ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა განხორციელდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდათ ქალაქ ხაშურის №3 და №5, დაბა სურამის №9, ღუდის, წრომის და სატფვეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, ხოლო სოფელ ქვიშხეთში ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. აღსანიშნავია, რომ 2014-2017 წლებში ამ მიმართულებით 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ამ ეტაპზე ხაშურში №7 და №8 საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, ხოლო სოფელ ტეზერში ანალოგიურ სამუშაოებზე ტენდერია გამოცხადებული.

- როგორც ვნახეთ, მასშტაბური ღონისძიებები ტარდება საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის მიმართულებითაც...

- წარმატებით დასრულდა ქალაქ ხაშურში ჯორჯაძის და



აგარის, ხოლო, დაბა სურამში, გურამიშვილის და 9 აპრილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები. რეაბილიტაცია ჩაუტარდათ კიკვიძე-ტალახაძის ქუჩებს. ბეტონის საფარი მოეწყო ამაღლების ქუჩაზე, სოფელ წაღვლში, ალში და ქვემო ოსიაურში. ამ ეტაპზე მსგავსი სახის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ მცხეთიჯვარში. უახლოეს ხანებში დაიწყება ქვიშხეთის, ტეზრის, ზემო ოსიაურის და დაბა სურამში - 26 მაისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები. გარდა ამისა, დავამთავრეთ ხაშურში, ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე სკვერის მოწყობა. პროექტის ღირებულებამ 139 990 ლარი შეადგინა და ქალაქს კულტურისა და დასვენებისთვის კიდევ ერთი სივრცე შეემატა. პარალელურად, მოხდა ხაშურში ცენტრალური მოედნისა და აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია, ახალი სკვერები, ასევე, გაშენდა სოფელ ცხრამუხასა და ხაშურში გაგარინის ქუჩაზე. ხაშურში და ცხრამუხაში მოხდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა უკვდავსაყოფი და 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი მემორიალების რეაბილიტაცია. სტიქიის პრევენციის მიზნით განხორციელდა მდინარეებზე ნაპირსამაგრი კედლების, ხიდების და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები, ხოლო მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები და სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

- მოქალაქეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის კუთხით რა სიახლეებია?

- ამ მიმართულებით, ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე, მუნიციპალიტეტი მასშტაბურ პროექტს - თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსის მშენებლობას ახორციელებს. პროექტი გარდამავალია, მისი დასრულება ამა წლის გაზაფხულზე იგეგმება და ჯამში 2 213 157 ლარი დაჯდება. უკვე მოეწყო საკალათბურთო-სახელბურთო, საჭიდაო, ძალოსნობის, მძლეოსნობის და ფიტნეს დარბაზები. მეორე სართულზე განთავსდა საჭადრაკო ოთახი და სატრენაჟორო. გარემონტდა მცირე საკონფერენციო დარბაზი და კაფე-სასადილო. მნიშვნელოვანია, რომ შენობაში განთავსებულია 40 ადამიანზე გათვლილი სასტუმროც. შესაბამისად, სპორტული კომპლექსი ყველა თანამედროვე სტანდარტს უპასუხებს და შშმ პირებზეც იქნება ადაპტირებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული სპორტ კომპლექსის ინვენტარით აღჭურვისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მოშზადება და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით 15 მინი სტადიონი აშენდა, ხოლო 5 მსგავს ობიექტს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. აღნიშნულ პროექტებზე ჯამში 450 000 ლარზე მეტია დახარჯული. დავამატებდი, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჯანდაცვის მიმართულებითაც - ქალაქ ხაშურში, პროგრამის ფარგლებში, მოხდა დიალეზის ცენტრის და სასწრაფო დახმარების შენობის მოწყობა, სურამში განხორციელდა სადაბო პოლიკლინიკის სრული რეაბილიტაცია, სოფლებში მოეწყო ამბულატორიები, ხოლო ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე ახალი საავადმყოფოს მშენებლობა მიმდინარეობს.

— კულტურულ სიახლეებზე რას იტყოდით?

- დაბა ქვიშხეთში, მასშტაბური პროექტი - დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 887 000 ლარია. სამუშაოები სტანდარტების სრული დაცვით მიმდინარეობს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის ხელშეწყობის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატორისა და მთარგმნელის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის რეაბილიტირებული სახლ-მუზეუმი, 2018 წლის ბოლომდე უკვე შეძლებს დამთვალიერებლის მიღებას და იმ 900-მდე ექსპონატის, დოკუმენტის თუ ფოტომასალის უკეთ წარმოჩენას, რომლებიც მუზეუმშია დაცული. გარდა ამისა, პრიორიტეტულად მივიჩნიეთ ხაშურის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. უკვე დამთავრებულია ადმინისტრაციული შენობების, სველი წერტილების, დამხმარე ოთახების, ფოიეს აღსადგენი ეტაპი. ეს ყველაფერი ჯამში 247 000 ლარი დაჯდა, მიმდინარე წელს კი სცენისა და მაყურებელთა დარბაზის სრული რეაბილიტაცია გვაქვს დაგეგმილი.

- ტურიზმის განვითარება როგორ ხდება?

- სამწუხაროდ მუნიციპალიტეტში არსებული, ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი პრაქტიკულად გამოუყენებელი და აუთვისებელია. მოსაწესრიგებელია ტურისტული ინფრასტრუქტურა, გზები, ვფიქრობ, საჭიროა უშუალოდ კულტურული მემკვიდრეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტი ანალიზი და განვითარების გეგმა ხაშურის მუნიციპალიტეტის ძეგლებთან დაკავშირებით. აუცილებელია ტურისტებისათვის რუკებისა და აბრების გზებზე განთავსება - კულტურული, მოსასვენებელი და კვების ობიექტის მითითებით. თუ ამას თავს მოვაბამთ, ვფიქრობ, ტურიზმის განვითარება, თავის მხრივ, შემოსავლების ზრდასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა გახდება.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელიც 2018 წელს დაიწყება, ქალაქ ხაშურში სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის მოწყობაა. ამ ეტაპზე პროექტირება მიმდინარეობს და საორიენტაციო ღირებულება 100 000 000 ლარია. ამას გარდა, დაგეგმილია ე.წ. ზემო სერის პარკის სრული რეაბილიტაცია, ხოლო ლიტველ პარტნიორებთან ერთად, ე.წ. ღუდის დასახლებაში ვაპირებთ რეკრეაციული სკვერის მოწყობას, სადაც ალუბლების ბაღი გაშენდება და ველო-ბილიკები გაიმართება. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება გადადგმული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მოხდება სურამის ციხის და მიმდებარე ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია, გზების მშენებლობა და ახალი ტურისტული მარშუტების დაგეგმვა. წელსვე იგეგმება სოფელ ცხრამუხაში არსებულ სტადიონზე სპორტსმენებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ხოლო „ოვრიის“ ცენტრალური სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მუნიციპალური განვითარების ფონდთან. პროექტი უკვე მოშზადებულია და მისი ღირებულება საერთო ჯამში 6 მილიონზე მეტს შეადგენს.



გორი სპორტული ქალაქია

საქართველოში, უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით ქალაქებისა და სოფლების სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მეტნაკლები წარმატებით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე და გაუმჯობესდა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი. ყოველი თვითმმართველი ერთეული ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვაში სრულიად თავისუფალი გახდა და განვითარების კარგი შანსი გაუჩნდა. სწორედ ამიტომ, დღევანდელი ფინანსური არასტაბილურობის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროცესებს და ადგილობრივი მერიის საქმიანობას, რამაც მეტნაკლებად უნდა შეამციროს მოსახლეობაში არსებული არამდგრადობის განცდა და პესიმისტური ფონი. შიდა ქართლის რეგიონში, გორის მუნიციპალიტეტი, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და გამორჩეულია. რაიონის კულტურული და სოციალური რესურსები არა მხოლოდ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე მეტყველებს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი დასაქმების პოტენციალის და ეკონომიკური პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობას წარმოადგენს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო, ტურისტებისთვის განკუთვნილი, მომსახურებით. სასიამოვნოა, რომ მუნიციპალიტეტში უამრავი სიახლეა -სპორტული, გარემოსდაცვითი, კულტურული მემკვიდრეობის, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელების მიმართულებით. აქტიურად მიმდინარეობს წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება ეკონომიკური განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვის და ინვესტორებთან თანამშრომლობის საკითხებზე. გორის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონი **კონსტანტინე თავზარაშვილს** სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრეთ.

- ბატონო კოტე, მოგვიყევით მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე...

- მინდა მოგახსენოთ, რომ სულ ახლახან, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში 1 800 000 ლარის ღირებულების გრანტი მოიპოვა. პროექტის, „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება ეკონომიკური ზრდისათვის“ საერთო ღირებულება 2 100 000 ლარს შეადგენს, საიდანაც ჩვენს მიერ თანადაფინანსების წილი 300 000 ლარია. პროექტი გარდამავალი გახლავთ და მისი განხორციელების პერიოდში მოხდება ლომჭაბუკის სკვერის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და იქ არსებული საგამოფენო სივრცის რეაბილიტაცია, მოეწყობა საინფორმაციო ცენტრი, სატრენინგო და სუვენირების სარეალიზაციო სივრცე, გაკეთდება ტურისტული ავტო და ველოსადგომები, 4 500 გრძივი მეტრის ველობილიკი. ამ პროექტის მიზანია საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობით ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა, გორის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმის სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შესაძლებლობების შექმნა, ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, მათი უნარების გაძლიერება ტრენინგების, სტაჟირებისა და ბიზნეს-კონსულტაციების სერვისის გზით. მსგავსი მიმართულების სამუშაოები დაგეგმილი გვაქვს ასევე გუდაბერტყაში და ბოშურის ხეობის მიდამოებში.

- ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროს რაც შეეხება...

- ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენს. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა რამოდენიმე მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამა, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, გარკვეული შეღავათებით უზრუნველყოფას, მორალურ და ფსიქოლოგიურ თანადგომასა და ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ეს შეეხება, როგორც ყოველთვიურ ასევე ერთჯერად დახმარებას ჩვენი ბენეფიციარებისათვის. გარდა ამისა, იძულებით გადაადგილებულ პირებს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართები - გორში დასრულდა რვა ათასართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომლებიც 480 დევნილ ოჯახს გადაეცა, ხოლო, „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, დევნილთა სამინისტრომ, 86 ოჯახს კერძო სახლები და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები შეუსყიდა. ამასთან ერთად, ჩვენ განსაკუთრებით ვზრუნავთ ე.წ. საზღვრისპირა არსებულ 26 სოფელზე, ვცდილობთ მოსახლეობამ შესაბამის პირობებში იცხოვროს. ამიტომ, გზებთან, წყალთან, ბუნებრივ აირთან და გარე განათებასთან დაკავშირებული პრობლემა თითქმის ყველა მათგანში მოვაგვარეთ.

- გორი სპორტული ქალაქია...

- ამასთან დაკავშირებით უნდა გითხრათ რომ, დასკვნით ფაზაში შევიდა გორის სპორტის სასახლის მშენებლობა. მალე მთლიანად დასრულდება, როგორც შიდა, მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ისე გარე პერიმეტრის გალამაზება. სასახლის დიდი დარბაზი 1 500, ხოლო პატარა დარბაზი 500 გულშემატკივარზეა გათვლილი. ეს ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის იქნება განკუთვნილი და ხელს შეუწყობს, რეგიონში პროფესიული და მასობრივი სპორტის განვითარებას. სამშენებლო პროცესების დასრულების შემდეგ, შესაძლებელი იქნება ხელბურთში, ფრენბურთში, ფუტსალში, ჭიდაობაში, ძიუდოში რეგიონალური და საქართველოს პირველობების ჩატარება. ამასთან, ახალი სპორტის სასახლე ზოგიერთ სახეობაში საერთაშორისო მასშტაბის ტურნირების მიღებასაც შეძლებს. გარდა ამისა, ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა რაგბის განვითარებას. გორში უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო სტანდარტების სარაგბო კომპლექსი გაიხსნა, რომელიც ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით აშენდა. კომპლექსი ბუნებრივსაფარიან და ხელოვნურსაფარიან მოედნებს აერთიანებს. სტადიონზე ფუნქციონირებს ტრენაჟორების დარბაზი, კეთილმოწყობილია გასახდელები, მსაჯთა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის განკუთვნილი ოთახები. კომპლექსში დამონტაჟებულია დამის განათება, ტაბლო და გახმოვანების სისტემა. დამატებით, მინდა აღვნიშნო, რომ მე, გორის მოსახლეობას, წინასაარჩევნოდ საცურაო აუზთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას დავპირდი. ახლა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკითხი ფაქტობრივად მოგვარებულია და პროცესი შეუქცევადად დაიწყო. ობიექტი გასხვისდა და ახალმა მფლობელმა, რომელმაც გორის აუზი შეიძინა, დაგვარწმუნა, რომ კომპლექსი უახლოეს მომავალში აღდგება და სრულყოფილ ფუნქციონირებას განაახლებს.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ მიმდინარე წელს გორში დაგეგმილი ძირითადი პროექტები საგზაო ინფრასტრუქტურისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებას მოხმარდება. ქალაქში იგეგმება სამების, ნინოშვილის და თბილისის ქუჩების რეაბილიტაცია. მოხდება რკინიგზის სადგურის დასახლებაში არსებული ქუჩებისა და სანიაღვრე სისტემების შეკეთება, სანიაღვრე სისტემა ასევე

მოწყობა რომელაშვილების ქუჩაზე. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სოფლებში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მიმდინარე წელს დაგეგმილია სოფელ ქვეშის გზიდან სათუმო-ციცაგიანთკარი-ახრისის დამაკავშირებელი გზის და სოფელ მერეთის, კოშკას და გუგუტიანთკარის საავტომობილო გზების ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა, ვაპირებთ ფასადების რეაბილიტაციას, ქალაქის მთავარი ქუჩის და უნიკალური „ძველი ხიდის“ ვიზუალურ რეაბილიტაციას. ამასთან ერთად, დღეისათვის ქალაქში ძალზედ აქტუალურია ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფრის პროექტზე მუშაობა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სივრცის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას, ცივილური და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. პროექტის მიხედვით, კეთილმოწყობილი და მრავალფუნქციური თავშესაფრის შექმნა, კომპლექსურ მომსახურებას გაუწევს და სხვადასხვა სერვისით უზრუნველყოფს, როგორც მიუსაფარ, ასევე მზრუნველობის ქვეშ მყოფ ცხოველებს.



ტყიბულის პერსპექტივები

2017 წელი, საქართველოსთვის, მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იყო. ეკონომიკური პრობლემების და გარკვეული ფინანსური სტაგნაციის მიუხედავად, ქვეყნის ხელმძღვანელობას, დასახული ამოცანების მისაღწევად ცდა არ დაუკლია. დღეისათვის, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ისეთი სფეროების განვითარებისაკენ, როგორიცაა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, მეწარმეობა და მცირე და საშუალო ბიზნესი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნა. ყოველივე ეს, ქვეყნის სტაბილურობას და მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩართულობას უზრუნველყოფს. ფაქტია, რომ ცენტრსა თუ რეგიონებში ახალი ხელმძღვანელების მოსვლის შემდეგ, პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით მიდგომები უკეთესობისკენ შეიცვალა - შემუშავდა ახალი სტანდარტები და გაიზარდა მათი კონტროლის მექანიზმები, აქცენტები ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გადავიდა, ხოლო ადგილობრივი მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **თემურ ჩუბინიძე** სულ რაღაც მეხუთე თვეა რაც ამ თანამდებობაზე საქმიანობას შეუდგა, დარწმუნებულია, რომ ტყიბულში, საქართველოს ქვანახშირის მოპოვების ცენტრში, საქმისადმი სწორი მიდგომით, თავდაუზოგავი შრომით და სამრეწველო სფეროს მიზანმიმართული განვითარებით, ადგილობრივი მოსახლეობის ყველა პრობლემის გადაწყვეტაა შესაძლებელი...

- ბატონო თემურ, მოგვიყვეთ ბოლო პერიოდში ტყიბულში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ...

- 2017 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, მუნიციპალიტეტში მართლაც ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას შევუდექით და მუშაობა ყველა მიმართულებით ახლაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემების მოგვარება, როგორც ქალაქ ტყიბულში, ისე მუნიციპალიტეტის 46 სოფელში ეტაპობრივად ხდება. ძირითადი ყურადღება მაინც ინფრასტრუქტურული პროგრამების განვითარებას ექცევა. ამ მიმართულებით, რეგიონული განვითარების ფონდიდან ჩვენმა ბიუჯეტმა 4 მილიონ 300 000 ლარი შეადგინა. შესაბამისად, უკვე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლის გზების მოწესრიგება, ვაპროექტებთ სოფელ საწირის წყალსადენს, რომელიც 600 000 ლარამდე დაჯდება, ხუთ სოფელს მოემსახურება და სასმელი წყლით დაახლოებით 900 ოჯახს დააკმაყოფილებს. სოფელ გელათში ისტორიული, „დავითის გზის“ დაპროექტება აქტიურად მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით, ერთი კილომეტრის მანძილი მოასფალტდება, ხოლო, გზის დანარჩენი, 650 მეტრიანი მონაკვეთი, მისი ძველი ისტორიულ-კულტურული ღირებულებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად შენარჩუნდება უწინდელი სახით, დაგეგმილია ორპირი-სოჩხეთის 14 კილომეტრიანი გზისა და ცხრაჯვარის 4 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. ტყიბულში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლების მერე არ შეკეთებულა, და ამჟამად სრულიად ამორტიზებულია, ვაპირებთ საკანალიზაციო სისტემის და წყალგამტარი გვირაბების მოწყობას და ბეტონის საფარის დაგებას. პროექტი რგფ-ის ფონდიდან დავაფინანსებთ და 1 100 000 ლარი დაიხარჯება. გარდა ამისა, მოხდა ორპირი - ცუცხვათი - მღვიმეს 10.5 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7 971 600 ლარით დაფინანსდა.

- ქალაქ ტყიბულზე უფრო დაწვრილებით რომ გვითხრათ...

- ტყიბულში, გორგიძის ქუჩაზე, რეგიონული განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა №-6 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 380 000 ლარი. ერთსართულიანი შენობა ორ სასწავლო ჯგუფზეა გათვლილი. მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, გელათის ქუჩაზე მოხდა №1 საბავშვო ბაღის სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - 742 000 ლარი. შენობა გათვლილია 100 აღსაზრდელზე. გამსახურდიას ქუჩაზე განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული მდინარე ტყიბულას საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია - 378 489 ლარი. იქვე მოეწყო კომპოზიტორ ალექსანდრე (ბუთხუზი) ბასილაიას სახელობის სკვერიც რეგიონული განვითარების ფონდის მეშვეობით, რომელმაც, ასევე დააფინანსა მრავალბინიან კორპუსებში არსებული 7 ეზოს რეაბილიტაცია - თანხით 350 000 ლარი.

- როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს...

- ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბავშვებზე ზრუნ-

ვა ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, ყველაფერი, რაც მუნიციპალიტეტში კეთდება, საბოლოოდ მათ სასიკეთოდ მოიაზრება და ვფიქრობ, ჩვენი ყოველი გადადგმული ნაბიჯი მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას უნდა ემსახურებოდეს. სწორედ ამიტომ, მიზნად დავისახეთ ბაღებზე ზრუნვა. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, დღეის მდგომარეობით, 14 ასეთი დაწესებულება ირიცხება. ჩვენი გადაწყვეტილებით, პროექტის ფარგლებში, მოწესრიგდება სველი წერტილები, სასადილო და საძინებელი ოთახები. შეძენილი იქნება სპეციალური ლიტერატურა და ინვენტარი. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ მოსახლეობის თხოვნა და ოთხ თემში - ჯვარისაში, გურნაში, სოჩხეთში და მუხურაში დავაპროექტეთ 4 ახალი

საბავშვო ბაღი. გამოვნახეთ შენობები, რომელთაც ჩაუტარდებათ სათანადო რეაბილიტაცია და სულ მალე მიიღებენ აღსაზრდელებს. ვფიქრობ, საბავშვო ბაღების მშენებლობა, მუნიციპალიტეტის მუდმივი სტრატეგიული მიმართულება უნდა იყოს, ვინაიდან, ეს გახდება მნიშვნელოვანი საწინდარი ადგილობრივი მოსახლეობის შესანარჩუნებლად და სოფლებში ახალი სიცოცხლის ასაღორძინებლად. ზოგადად, სოციალურ პროექტებს რაც შეეხება, ამ მიმართულებით 380 000 ლარია გამოყოფილი და სოციალური დაცვის პროგრამით განსაზღვრულ, ეკონომიკურად შეჭირვებულ მოქალაქეთა დახმარებაზე ნაწილდება. ეს დიდი თანხა არ არის, თუმცა ადგილობრივი ბიუჯეტის გათვალისწინებით ნორმალურია და ვფიქრობ, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

- ყველაზე აქტუალური რა საკითხია მუნიციპალიტეტში?

- პრობლემები, სამწუხაროდ მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ ბევრია, იძულებული ვართ ჩვენი ძალისხმევა რამდენიმე მიმართულებით წარვმართოთ. მათ შორის უმთავრესი მაინც სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის მნიშვნელოვანი შემცირებაა, რაც, შემდგომში, თავისთავად მიგრაციის კლებას და შრომისუნარიანი მოსახლეობის მატებას განაპირობებს. ჩვენი გამოთვლით, სახელმწიფო თუ კერძო ინვესტიციების ზრდამ და მათმა მიზნობრივმა განაწილებამ, დასაქმებით საკმაო რაოდენობით ადამიანი უნდა უზრუნველყოს. განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის, წახალისება სჭირდება კოოპერაციულ მოძრაობას. კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ ეტაპზე, ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი დამსაქმებელი „საქნახშირია“, რომელიც ინტენსიურად მუშაობს ახალ სპეციალურ სამთომადნო ტექნოლოგიებზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მწარმოებლობას, გაუმჯობესებს უსაფრთხოებას და შეამცირებს წარმოების ხარჯებს.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- კვლავაც გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია, სკვერების განახლება, ტროტუარების, ბორდიურების და ბარიერების მოწყობა, ქუჩების ორმული შეკეთება. მოწესრიგდება გარე განათება. გავაგრძელებთ ინვესტიციების მოზიდვას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსების გადახურვის სამუშაოები და ეზოების მოწესრიგება, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება. მალე შიდა და გარეფასადების შეკეთებაზე დავიწყებთ ზრუნვას. პარალელურად, ტყიბულის 14 ქუჩაზე რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებს ფირმა „აილეი“, რომელიც ბეტონის საფარიანი გზების მშენებლობას განახორციელებს. რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონს, საპროექტო სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება, ობიექტი არამარტო მუნიციპალიტეტის, არამედ რეგიონის ღირსშესანიშნაობა იქნება. ზოგადად, მოსახლეობის დაინტერესების და წახალისების მიზნით ვაპირებთ წინ წამოვწიოთ სპორტი და კულტურა, მათ შორის თეატრალური დასი, რომელსაც ენერგიული და კრეატიული ქალბატონი, ლალი კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. ასე რომ, გამოწვევები ძალიან დიდია და იმედი მაქვს, ხელისუფლებისა და მოსახლეობის ერთად დგომით, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

სამომავლოდ ვაპირებთ წავახალისოთ ჯერჟო სექტორი

ევროპიოს განვითარებულ ქვეყნებში, ძირეული პრობლემების მოწესრიგებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების - მექანიზმების ძიება და მათი შემდგომი სრულყოფა, რაც სამომავლოდ შესაძლებელს გახდის გამოვლენილ იქნას სახელმწიფოს სრული პოტენციალი. რაც შეეხება საქართველოს, სამწუხაროდ, მისი თანამიმდევრული განვითარების პრობლემა, უპირველესად ტერიტორიულ ერთეულთა ინფრასტრუქტურულ არასტაბილურობასთან იყო დაკავშირებული და ამის არაერთი დადასტურებული ფაქტი არსებობს. როგორც ცნობილია, ტურიზმი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ხელვაჩაურის რაიონს კი, თავისი ზღაპრული სილამაზიდან გამომდინარე, საკმაოდ მდიდარი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ამასთან დაკავშირებით, დღეგანდელი ხელისუფლება ინტენსიურად მუშაობს ეფექტურად გამოიყენოს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ბუნებრივი გარემო - ლამაზი ხედები, ჯანსაღი კლიმატი, კამკამა ზღვა და თვალწარმტაცი მთები, რაც საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის, არამედ სრულფასოვნად აწესრიგებს ინფრასტრუქტურას, ზრდის მოსახლეობის ჩართულობას, მუშაობს საერთაშორისო კონტაქტებზე, აქტიურად თანამშრომლობს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ყველა ღონეს ხმარობს საკუთარი კუთხის თვითმყოფადობის ასაღორძინებლად. სწორედ ამიტომ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ჯუმბერ ვარდმანიძეს** მიაჩნია, რომ რაიონის ბუნებრივი თვითმყოფადობა, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, უახლოეს ხანში, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის საწინდარი გახდება.

- ბატონო ჯუმბერ, რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

-საბედნიეროდ, უკანასკნელი წლების განმავლობაში, სიტუაცია უკეთესობისაკენ რეალურად და თვალსაჩინოდ არის შეცვლილი. უკანასკნელ პერიოდში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მიმდინარე წელს პრიორიტეტებად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალ-კანალიზაციის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებია განსაზღვრული. მერიის ბიუჯეტი ამ ეტაპზე 16 311 936 ლარია, საიდანაც ინფრასტრუქტურული პროექტების განახორციელებლად 6 506 484 ლარი დაიხარჯება. ახლახან გავხსენით კულტურის სახლის ორსართულიანი შენობა, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. შენობა შეფუთულია მინით და ახალი დარბაზი 450 მაყურებელზეა გათვლილი. სარემონტო სამუშაოებზე, პროექტის თანახმად, 837 555 ლარი დაიხარჯა, ხოლო რეაბილიტაციის პროცესში 50-მდე ადგილობრივი კადრი იყო დასაქმებული. კულტურის ცენტრში სცენასთან ერთად მოწყობილია საგამოფენო და საკონფერენციო სივრცეები, რაც ხელს შეუწყობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა თემატიკის ღონისძიებების ჩატარებას და პოპულარიზაციას. მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალური ბიუჯეტით, 2013 წლიდან დღემდე სხვადასხვა ლოკაციაზე 17 კულტურის სახლის რეაბილიტაცია ჩატარდა. ამჟამად მიმდინარეობს ასევე ახალშენის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც 600 ადამიანზე გათვლილი დარბაზია განთავსებული. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმატებით გრძელდება არმირებული წესით ასფალტო-ბეტონის

საფარის დაგება. სამუშაოებში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა. მსგავსი პროექტები ხორციელდება ჭარნალში, ახალშენში და სარფში, ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით სოფლებში გატანილია 1500 კუბური მეტრი მზა ბეტონი. მიმდინარე წელს ხელვაჩაურის სოფლებში გზების კეთილმოწყობისთვის ორ მილიონამდე ლარი დაიხარჯება, აქედან მილიონ 400 ათასი ლარი აჭარის მთავრობამ გამოყო, რომელიც არმირებული წესით ასფალტო-ბეტონის საფარის დაგებაზეა გათვლილი. ამას დავამატებ აჭარისწყალი-კირნათის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებს, სადაც 4 235 მეტრზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ორფენიანი საფარით ხორციელდება, ხოლო მთლიანობაში, აღნიშნულ მონაკვეთზე, გზის საფარი 26 326 კვადრატულ მეტრზე მოეწყობა.

— სოციალური და ჯანდაცვის კუთხით რა ვითარებაა მუნიციპალიტეტში?

- მინდა მოგახსენოთ, რომ ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით ხელვაჩაურში 15 მიზნობრივი პროგრამა მოქმედებს, საიდანაც 8 სოციალურია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით გამოყოფილია 1 227 692 ლარი. ყველა მოქალაქე სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის სამედიცინო პაკეტით, ხოლო მუნიციპალიტეტში მოქმედ 18 საბავშვო ბაღში 470 კაცრია დასაქმებულია. ახლახან, 23 ეკომიგრანტ ოჯახს ურეხის სოციალურ სახლში საცხოვრებელი ბინები გადაეცა. სოციალური სახლი კეთილმოწყობილია. თითოეული ბინა უზრუნველყოფილია თანამედროვე ტიპის გათბობის და წყლის გამაცხელებელი სისტემებით და შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ობიექტის მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან მილიონ 432 ათას 788 ლარი დაიხარჯა. ამ ეტაპზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაპრეშუმში და ურეხის დასახლებაში არსებულ სოციალურ სახლებში სტიქიის შედეგად დაზარალებული 73 ოჯახია საცხოვრებლით უზრუნველყოფილი. გასულ წელს 50 ეკომიგრანტმა ოჯახმა კაპრეშუმის სოციალურ სახლში დაიდო ბინა, წელს მათ რიცხვს ურეხის სოციალურ სახლში 23 ოჯახი შემატა. ბინები სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით იქნა გადაცემული. კომისია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, აჭარის მთავრობის, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. ბენეფიციარები შერეული კომისიის წევრებმა სპეციალური კრიტერიუმის მიხედვით შეარჩიეს.

-როგორც ცნობილია, მაჭახლის ხეობაში დამატებით რამდენიმე სოფელი მთის კანონით ისარგებლებს...

- მოგეხსენებათ, რომ ამ ეტაპზე საქართველოს 3700 დასახლებიდან, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1678 დასახლებას, დაახლოებით, 45%-ს. ახლახან, დადებითად გადაწყდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახელის ხეობის 9 სოფ-

ლისთვის - ქედქედი, სინდიეთი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ქოქოლეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, - სტატუსის მინიჭების შუამდგომლობის საკითხი, რომელიც დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობის სხდომას წარედგინება. დარწმუნებული ვარ, კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომლის მიზანია მაღალმთიანი რეგიონებიდან მიგრაციის შეჩერება, მოსახლეობის დაბრუნება სოფლებად, ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის განვითარება, გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესებით მეწარმეობისთვის ხელის შეწყობა და მთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა, ძალზე წაადგება ზემოხსენებული სოფლების მოსახლეობას.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- სამომავლოდ ვაპირებთ წავახალისოთ კერძო სექტორი, გავაგრძელოთ ინვესტიციების მოზიდვა და თანამედროვე ინფრასტრუქტურა ჩამოვაყალიბოთ, რაც საბოლოოდ დადებითად იმოქმედებს ჩვენი კუთხის კეთილდღეობაზე და ხალხის ადგილებზე დამაგრებას შეუწყობს ხელს. 2018 წელს მუნიციპალიტეტში გაგრძელდება გზების კაპიტალური მოწესრიგება. კეთილმოწყობა მოსაცდელები, გარემონტდება სახურავები და ეზოები, განახლდება გარე განათება, სკვერები და ატრაქციონები, რისთვისაც 646 370 ლარია გამოყოფილი. გარდა ამისა, კულტურული, რელიგიური, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისთვის - 1 952 278, ხოლო სტუდენტური მხარდაჭერის პროგრამაზე 40 000 ლარია გათვლილი. ზოგადად, არაერთი ღონისძიება - ტრენინგი, სემინარი და პრეზენტაცია ჩატარდება ახალგაზრდების გასააქტიურებლად. პარალელურად, მომზადებას დავიწყებთ ტურისტული სეზონისთვის, რომელიც უკვე მოახლოვდა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დიდი იმედებით ელოდება.



KOPOS

საქართველოსა და მსოფლიოში მომრავლებული ხანძრების გამო დატრიალებულმა ტრაგედიებმა, ცივილიზებულ სამყაროს ნათლად დაანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია შენობების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ცეცხლგამძლე, ეგრეთწოდებული „უჰალოგენო“ ელექტროსაინსტალაციო მასალების გამოყენების აუცილებლობა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, კანონი არც თვითმმართველობას და არც მენაშენეს არ ავალდებულებდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებას. რეგულაციებით, რომლითაც მშენებლობის ნებართვები გაიცემოდა, არ იყო საკალდებულო, არც ნებართვის გაცემის და არც მშენებლობის ვარგისად აღიარების პერიოდში, სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით კომპეტენტური ორგანოს დასკვნის წარმოდგენა. სწორედ ამიტომ, ხშირი იყო სიტუაცია, როდესაც სახლების, სასტუმროების თუ საკაჭრო-გასართობი ცენტრების მშენებლობისას გამოიყენებოდა ისეთი იაფფასიანი მასალები, რომელთა აალების დროსაც, გამოიყოფა მხუთავი აირი, გვიანდება ცეცხლის ლოკალიზება და ხანძრის გავრცელების არეალი წამებში კატასტროფული სიჩქარით იზრდება. 2009 წელს საქართველოში ჰოლდინგი „კოპოს ჯორჯია“ გამოჩნდა, რომელიც წარმატებით მუშაობს ადგილობრივ და სამხრეთ კავკასიის ბაზრებზე. მათი პროდუქცია ცნობილია საიმედოობით და ელექტრო საინსტალაციო მასალების ფართო სპექტრს წარმოადგენს - სადენე და სატელეკომუნიკაციო გაყვანილობის კაბელ არხები, სხვადასხვა სახის და დანიშნულების მილები გაყვანილობისთვის, ლითონის საკაბელო მზიდი სისტემები, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ელექტრო კოლოფები, სამაგრი მასალები. აღსანიშნავია, რომ ჰოლდინგის მიერ შემოთავაზებული პროდუქცია სრულად შეესაბამება ევროკავშირის ქვეყნების ყველა აუცილებელ ნორმებს, და სერტიფიცირებულია ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ზემოხსენებული პრობლემების მოგვარების თაობაზე, ჩვენ სწორედ კომპანია „კოპოს ჯორჯიას“ დირექტორს, ბატონ **ადოლფ ტურეკს** ვესაუბრეთ.

ვცდილობთ, ბალანსი ხარისხსა და ფასს შორის მაქსიმალურად დავიცვათ

- ბატონო ადოლფ, როგორ გესახებათ ხანძრებთან დაკავშირებული ტრაგედიების თავიდან აცილების გზები?

- თუ საკითხს კომპლექსურად არ მივუდექით, მისი მოგვარება პრაქტიკულად შეუძლებელია. უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის და ყველა სტრუქტურის ინტერესთა თანხვედრა. საბედნიეროდ, ჩვენს სექტორში, დღეს უკვე არსებობს მასალები ელექტრო საინსტალაციო სამუშაოებისთვის, რომლებიც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ხანძარი ან მისგან გამოწვეული შედეგები. გვაქვს თვითქრობადი მასალები, ასევე სპეცმასალა რომელიც, თუ მაინც გაჩნდა ხანძარი, ტოქსიკურ აირებს არ გამოყოფს. ცალკე უნდა აღინიშნოს ე.წ. „ჰალოგენ-ფრი“ - გოფრირებული მილები, საინსტალაციო კოლოფები და საკაბელო სისტემები, რომლებიც გარე ინსტალაციისთვის, სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების დროს გამოიყენება და სრულიად უსაფრთხოა. დამატებით, ჩვენ კომპანიას გააჩნია მასალების ნაირსახეობა, რომლებიც 1600 გრადუსზე გახლავთ ტესტირებული და საათნახევრის განმავლობაში ინარჩუნებენ კონტაქტს, რაც ნიშნავს რომ, აალების კერის წარმოშობის შემთხვევაში, 90 წუთიანი პერიოდი არსებობს პრობლემის აღმოსაფხვრელად და ევაკუაციის განსახორციელებლად.

- საქართველოში რამდენად არის დაცული ეს სტანდარტები?

- მინდა გითხრათ, რომ ბოლო წლებია, როგორც თბილისის მერიისგან, ისე ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებისგან წამოიდა სწორი მესიჯები და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. ყველა მოწადინებულია, რომ კომპანიები გახდნენ სრულად

პასუხისმგებელი საკუთარ საქმიანობაზე და ზედმიწევნით იცავდნენ საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენი ჰოლდინგი გამუდმებით ყველას მოუწოდებს და ურჩევს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - ეს იქნება რესტორანი, სკოლა, საავადმყოფო, აეროპორტები თუ სადგურები, ელექტროინსტალაციის დროს აუცილებლად იქნას გამოყენებული ე.წ. „ჰალოგენ-ფრი“ მასალები. ამასთან, ეს ნაბიჯები, უმჯობესია, დღესვე გადაიდგას, რადგან სამომავლოდ, საქართველოს კონკრეტული ვალდებულებები აქვს აღებული ევროკავშირის წინაშე. თუმცა, სანამ საკანონმდებლო ბაზა ჩამოყალიბდება, ჩვენს მომხმარებელთან მანამდე უნდა მივიტანოთ სწორი ინფორმაცია. მიმაჩნია, რომ, როგორც საკუთარ სახლში იცავენ ადამიანები სტანდარტებს, ისე უნდა მიუდგნენ ყველა მშენებლობას და არ გამოიყენონ უხარისხო მასალები. საბედნიეროდ, მსხვილი კომპანიები ამას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მაგრამ პატარა ფირმები, რომელთაც თავი ძლივს გააქვთ, მოკლე და იაფი გზით მიდიან, რაც დაუშვებელია. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ მოსახლეობის, კომპანიების და მთავრობის თანადგომით ყველაფერი მოგვარებადია. ჩვენი ჰოლდინგი კი, მუდამ მზადაა გაწიოს ყველანაირი დახმარება - როგორც მატერიალური, ისე ექსპერტების დონეზე.

- საქართველოს ბაზარზე უკვე 8 წელია მოღვაწეობთ...

- დიახ და ძალიან ვამაყობთ მიღწეული შედეგით. გვყავს ბევრი საიმედო პარტნიორი. დიდი კომპანიები, რომლებთანაც ტენდერით ვმუშაობთ და სამონტაჟო კომპანიები, რომლებიც სამუშაო პროცესის დაწყებისას გვიკავშირდებიან და ჩვენგან კონსულტაციებს იღებენ. „კოპოს ჯორჯიას“ პოლიტიკა მშრალი ბიზნესის კეთებით არ შემოიფარგლება. დიდი აქცენტია გადატანილი ხარისხზე და გამოცდილებაზე. მაქსიმალურად ვეხმარებით საქართველოს ევროკავშირისკენ ძნელი გზის გავლაში. ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ რამდენჯერმე მოიწვია დარგის სპეციალისტები, ჩაატარა ტრენინგები და გასცა საერთაშორისო სერთიფიკატები. აქტიურად ვთანამშრომლობთ მსხვილ ჰოლდინგებთან, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, ხდება თანამედროვე სტანდარტების და ნორმების შემუშავება, რომლებიც ჩვენმა პროდუქციამ უნდა დააკმაყოფილოს. გვაქვს საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც შესაძლებელია მომხმარებელი ვრცლად გაეცნოს ყველა სტანდარტს და ტექნიკურ მონაცემს. რაც შეეხება, ჩვენთან ტესტირებულ და სერტიფიცირებულ მასალებს, მათი გარანტია მინიმუმ 2 წელია.







- ადგილობრივ ბაზარზე როგორაა შესაძლებელი თქვენი პროდუქციის შეძენა?

- მოგეხსენებათ, ჩვენ საქართველოში საერთაშორისო კომპანია „კოპოსის“ წარმომადგენლები გახლავართ. შესაბამისად, ვცდილობთ ეს ბრენდი ცნობილი გავხადოთ და ხალხს მაქსიმალურად მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი მასალების თაობაზე. გავაცნოთ, თუ რომელ კორპუსში, სასტუმროში, საავჭრო ცენტრსა თუ ფაბრიკა-ქარხანაშია გამოყენებული ჩვენი პროდუქცია. „კოპოსის“ ნაწარმის ყიდვა შესაძლებელია დიდ ჰიპერმარკეტებში - „ბრიკორამასა“ და „დომინოშჩ, გვყავს პარტნიორები „ელიავას“ ბაზრობაზე და გაგვაჩნია #17 და #18 მაღაზიები ბაზრობა „აშენდა“-ში. გარდა ამისა, წელს, გაყიდვები დავიწყეთ პირდაპირ საკუთარი დიდი საწყობიდან სადაც ყველაფერი თვალნათლივ გახლავთ წარმოდგენილი. ვცდილობთ, რომ ბალანსი ხარისხსა და ფასს შორის მომხმარებლისთვის მაქსიმალურად იყოს დაცული. ვზრუნავთ ჩვენ პარტნიორებზე და პროდუქციის გაყიდვისას, სურვილის შემთხვევაში, ადგილზე ხდება მისი ინსტალიაციის შესწავლა.

Polimeri 1

GEORGIAN PLASTIC PIPES

შ.პ.ს „პოლიმერი“ 1985 წელს, კოოპერატივის ფორმით ჩამოყალიბდა და მის ძირითად საქმიანობას მცირე დიამეტრის პოლიეთილენის მილებისა და ფირის წარმოება შეადგენდა. დღიდან დაარსებისა, კომპანიის ხელმძღვანელი ბატონი ამირან ადეიშვილი გახლავთ.

2009 წელს კომპანიის ბაზაზე შ.პ.ს „პოლიმერი 1“ ჩამოყალიბდა. მოხდა წარმოების სრული გადაიარაღება. დამონტაჟდა 4 ერთეული სხვადასხვა დიამეტრის მილების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უცხოური დანადგარი, რომლითაც ხდება სასმელი წყლისა და გაზის მაგისტრალური ქსელებისათვის მაღალ წნევებზე მომუშავე 24 დასახელების (დ-20 მმ დან - დ-630 მმ ჩათვლით) პოლიეთილენის მილების წარმოება.

2016 წელს კომპანიას ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიენიჭა.

2017 წლიდან ორგანიზაციამ მასშტაბები გააფართოვა და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისათვის „გოფრირებული“ მილების წარმოება დაიწყო.

კომპანიას 32 წლიანი გამოცდილება გააჩნია, საკუთარ ბაზაზე გადამზადებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ფლობს უმაღლესი ხარისხის თანამედროვე ტექნოლოგიებს და აწარმოებს ევროპული ხარისხის მილებს, რომელთა საექსპლუატაციო პერიოდი 50-55 წელს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მაღალი დიამეტრის (20მმდან-1400მმ-ს ჩათვლით) მილების დახვევით, სამუშაო პროცესის დროს, მომხმარებელი ღებულობს 5-ჯერ ნაკლებ დანახარჯს, როგორც დროის, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

მის:. თბილისი, ვაგზლის ქ. №15ა,

ტელ: (995 32)2 40-30-19;

599 99-36-36;

577 119-919; 599 99-35-35;

www.polimeri1.ge

info@polimeri1.ge

GCBB

საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი - სიცოცხლის სადარაჯოზე

„საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი" თავისი დაარსებიდან 80 წელსითვლის. 1932 წელს, აკადემიკოს გ. მუხაძის ბელადობით ჩამოყალიბდა სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის სახელწოდებით. 2010 წლის მარტში ქართველი ინვესტორის და ქველმოქმედის, ქალბატონ ნატო კვანტალიანის მიერ მოხდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის" შესყიდვა და მისი მოდერნიზება. სახელმწიფოს წინამე ალებულ იქნა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში ინვესტიციის განხორციელებას და ახალი ბანკის შექმნას. ცენტრს გაუკეთდა მოდერნიზება და 2010 წლის აგვისტოდან საამსახურო გადაკეთდა მას „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი". ცენტრალური სისხლის ბანკი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საბაზისო ცენტრი იყო და ადგილმდებარეობითაც და პროდუქციის ხარისხით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შეხარჩუნება დღესაც ხორციელდება. აქ დასაქმებული ადამიანებისთვის პრინციპული პრიორიტეტი ჩარისხია. აცნობიერებენ რა, პაციენტის ისედაც მძიმე წუთებში, როცა მას სისხლი ესაჭიროება და სიკვდილ-სიცოცხლის ქიდილშია კიდე არ დაუშვიმდეს მდგომარეობა დაშვებული შეცდომით. აქ მომსახურება ყველა უმაღლესი და საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ხდება, რაც მკაცრად კონტროლდება. კომპანია ითელის არაერთ სისხლის გაჩუქების საქველმოქმედო ღონისძიებას. სისხლის გაცემა არ არის კონკრეტული ავადმყოფებისთვის ან ლეიკემიით დაავადებულთათვის. კომპანიის დევიზია – სისხლი ყველას, ვისი სიცოცხლეც საფრთხეშია!

GCBB- ...ერთიანად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ჩარისხის მომსახურეობითა და პროდუქციით ნელ-ნელა მთელს ამიერკავკასიაში იკავებს ადგილს. ...უანგარო დონორებისთვის კომპანიამ მუმუშავა და ზღვევის ...პრინციპი მაგალითად: დონორმა, თუკი ორჯერ ჩააბარა სისხლი, 6 თვის განმავლობაში მას და მის ოჯახის წევრებს კომპანია სისხლის უფასო მიწოდებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა უფასოდ უტარდებათ ისეთი ძვირად ღირებული ანალიზები, როგორიცაა C და B ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, სისხლის საერთო ანალიზი.

იყავი გულისხმიერი, გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე!

მის: ქავთარაძის 21/ა
http://www.geocbb.com
T: 218_91_77; 254_53_19

HOTEL
BORJOMI AISI

Hotel
BORJOMI AISI
Georgia, Borjomi
9 Aprili st1
Tel.: 557 66 95 66

ცხოვრება ზედმეტი ხარჯის გარეშე

ფასადის თერმოიზოლაცია